899.962.1(09)
ბ-376

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ბახტაძე გურამ

# აჭარა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2001

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იუზა ევგენიძე

ოფიციალური ოპონენტები:
1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ჭურღულია (10.01.01)
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსანდრე ჯიბლაძე (10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წლის „26 10 14“ საათზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P10.01.C№5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ოსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2001 წლის „25“ 09“

-1805-

ბიბლიოთეკა
თბილისის სახელმწიფო
პედაგოგიური ინსტიტუტი
ივ. ჯავახიშვილის

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი /ნ. ტაბიძე/

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა:</u> მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედებითი ინტერესი დედასამშობლოდან სამი საუკუნით ჩამოცილებული აჭარის მიმართ, ფილოლოგიური თვალსაზრისით ნაკლებად არის შესწავლილი. ჯერ-ჯერობით არ არსებობს შემკრებლობითი ხასიათის მონოგრაფიული ნაშრომი, რომელიც ქართველ მწერალთა აჭარის თემით დაინტერესების სურათს მთლიანობაში წარმოადგენდა.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა თანამედროვე ქართველს აძლევს ეროვნული ცნობიერების მოვლისა და გამტკიცების შესანიშნავ მაგალითს``. აღნიშნული პერიოდის მწერლობა ამ ნიშნითაც დიდ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე და აქტუალობას არ კარგავს სადღეისო ეროვნული პრობლემების გააზრების მხრივ.

<u>კვლევის საგანი და მიზანი.</u> ქართველი ერის ისტორიაში მე-19 საუკუნე უმნიშვნელოვანესი პერიოდია. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში ამ დროისათვის ქართველი მწერლები იდგენენ დიდი ილიას წინამძღოლობით. ამ მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწა-წყალზე ეროვნული თვითშემეცნების განმტკიცებისათვის ბრძოლა. ამგვარი იდეოლოგიური ბრძოლის ცოცხალი სურათი შემოგვინახა მე-19 საუკუნის ქართულმა პერიოდიკამ.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს აჩვენოს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში აჭარისადმი, როგორც გარკვეული ეროვნულ-კულტურული და მხატვრული ღირებულების შემცველი მასალისადმი, შემოქმედებითი ინტერესის თანდათანობითი გაღვივება. საკითხის ამდაგვარად დაყენება საშუალებას გვაძლევს ვაჩვენოთ არა მარტო აჭარის მოუცილებელი და განუწყვეტელი ფსიქო-ეთნო-კულტურული კავშირი დანარჩენ საქართველოსთან, არამედ საკუთრივ, 'საკვლევი მასალის თავისებურება თემატური აქტუალობისა და მხატვრული ღირებულების მხრივ. ნაშრომში არის ცდა, სრულყოფილად და მიუკერძოებლად წარმოჩნდეს ის წვლილი, რაც მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მწერლებს მიუძღვით აჭარის, როგორც ქართული ფენომენის მოუცილებელი